ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1376634

ნომერი: AR1233695

თარიღი : 01.07.2014

გაცემის თარიღი : 24.07.2014

გაცნობის თარიღი : 24.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წულაძე , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 1 ივლისს #AR1233695 განცხადებით მომართეს რობიზონ გეთიაშვილმა და შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია "შავნაბადას" დირექტორმა გოჩა აბდუშელიშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანებით ქ. თბილისში, წულაძის ქ. #22–ში, შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია "შავნაბადას" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკ. #034/015) შეთანხმდა „ა“ ბლოკის (არსებული შენობა, სპორტდარბაზი და სასადილო) კორექტირებული არქიტექტურტული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 აგვისტოს #01/1758 ბრძანებაში, კერძოდ, „ა“ ბლოკისა (არსებული შენობა, სპორტდარბაზი და სასადილო) და „ბ“ ბლოკის (მარანი) ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა ცალ–ცალკე.

განმცხადებლები ითხოვენ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანების ნაწილობრივ ძალდაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან დამკვეთს აღარ გააჩნია ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე „ბ“ ბლოკის (მარანი) მშენებლობის ინტერესი. ამასთან, განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე „ბ“ ბლოკის (მარანი) მშენებლობა არ განხორციელებულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლში მითითებული საფუძვლების გარდა შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანების საფუძველზე დამკვეთს აღარ გააჩნია „ბ“ ბლოკის (მარანი) მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ვინაიდან, აღნიშნული აქტის საფუძველზე „ბ“ ბლოკის (მარანი) მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა და შესაბამისად, არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებელთა მოთხოვნა და ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანება, კერძოდ, „ბ“ ბლოკის (მარანი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 20 აგვისტოს #01/1203, 2010 წლის 12 აგვისტოს #01/1758 და 2011 წლის 1 აპრილის #01/647 ბრძანებებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.